

XVI-XIX საუკუნეების გერმანულ წყაროებში
ასახული ქართული ჩაცმულობა
Georgian Dress Reflected in German Sources of XVI-XIX centuries

ირინა უგრეხელიძე

ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების კურატორი; ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Irina Ugrekheldze

N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum Curator of Embroidery and Textile Fund. Akaki Tsereteli State University Academic doctor, associate professor.

ნონა ქარციძე

ნ. ბერძენიშვილის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი

Nona Kartsidze

PhD in N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum. Akaki Tsereteli State University Academic doctor, Associate Professor.

ელისო ჩუბინიძე

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი; ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრი

Eliso Chubinidze

Master's degree holder at N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum, Science worker Kutaisi Ak. Tsereteli State University, teacher

აბსტრაქტი - სტატიაში დასმულია საკითხი ქართული ისტორიული კოსტიუმის შესწავლის საქმეში სხვადასხვა ეპოქის უცხოური წერილობითი და სახვითი წყაროების, მათ შორის გერმანულენოვანი წყაროების მნიშვნელობის შესახებ. განხილულია XVI-XIX საუკუნეების მოგზაურული ლიტერატურა, ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასები, შემეცნებითი ალბომები, მკვლევართა ანგარიშები, რომლებშიც აღწერილია ქართველთა ყოფითი სურათები და დართულია საილუსტრაციო მასალები. მიმოხილულია თითოეული ავტორის მოგზაურობის მიზანი და მოცემულია მათი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები. გაანალიზებულია გრაფიურებზე წარმოდგენილი სამოსი და შედარებულია ისინი თანადროულ ქართულ სახვით მასალებში წარმოდგენილ ჩაცმულობასთან. შესაბამისად გაკეთებულია დასკვნა, რომ ფასეულია

თვითმხილველი დამკვირვებლის მიერ შექმნილი სახვითი მასალა, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს კოსტიუმის ფორმას, სილუეტს და ზოგიერთ შემთხვევაში დეკორირებასა და ფაქტურასაც. ასევე, დასმულია საკითხი უცხოური წყაროების შემდგომი კვლევის აუცილებლობის შესახებ ქართული კოსტიუმის ევოლუციის სრულყოფილი პანორამის წარმოჩენისათვის.

საკვანძო სიტყვები - გერმანულენოვანი წერილობითი წყაროები; მოგზაურები; ქართული ისტორიული კოსტიუმი; გრაფიურები; ქართველები.

Abstract - The article raises the issue of the importance of foreign written and fine sources of different epochs, including German-language sources, in the study of Georgian historical costume. Travel literature of the XVI-XIX centuries, historical-geographical atlases, cognitive albums, research reports are described, in which the current images of Georgians are described and illustrative materials are attached. The purpose of each author's trip is reviewed and their brief biographical data is given. The clothes presented in the gravures are analyzed and they are compared with the clothes imaged contemporary Georgian fine materials. Accordingly, it is concluded that the Fine Art material created by the eyewitness observer is valuable, with visually shows the shape on the costume, that silhouette weather and in some cases the decoration and the texture. Also, the question is raised about the need for further research by foreign sources the present a complete panorama of the evolution of the Georgian costume.

Interest in Georgia as a foreign exotic country has been found in German Source since the Middle Ages. The first source is the work of the Bavarian Hans Schiltberge 1380-1437) "Journey of Johannes Schiltberger from Munich to Europe, Asia and Africa from 1394-1427". The scene of the every day life on Georgians is contained in the "Cosmography" of the German scientist and cartographer Sebastian Munster (1488-1552); Leonard Rauwolf (1535-1596) - German physician, botanist and traveler, provides information about the drees of Georgians in his book "Description of Travel to Eastern Countries". Information about Georgian traditional clothing is contained in the writings of the German scholar and the travel acad. Johaan Guldenstedt. The works of the German orientalist - Julius Henrich von Claprot (1783-1835) are informative about Georgia and Georgians. The paintings and sketches of the famous German artist Paul von Franken (1818-1884) from the series about the Caucasus are distinguished by their amazing efficiency and information. The German-language flow of information from these and other authors created certain perceptions of Georgia and the Georgian people, including visual ones in European Society. This information has not lost its relevance at the modern stage, as it provides important material for the study of Georgia historical costume.

Key words - German-language written sources; Travelers; Georgian historical costume; Engravings

ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლის – ტრადიციული ქართული კოსტიუმის ჩამოყალიბებისა და ევოლუციური პროცესის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ წერილობით და სახვით მასალებს, რომლებსაც შეიცავს მოგზაურული ლიტერატურა, გეოგრაფიული კვლევები და ეთნოგრაფიულ- ნატურალისტური დაკვირვებები. ასეთი წყაროები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროის იმ პერიოდის შესასწავლად, რომლისთვისაც არ გაგავაჩნია ნივთიერი მასალები ისტორიული კოსტიუმის ნიმუშების სახით. ცნობილია, რომ ქსოვილის სუსტი გამძლეობის გამო, XVIII საუკუნეზე ადრეული პერიოდის სამოსის ნიმუშები სრულიად განადგურებულია.

ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის გერმანულენოვანი წყაროები. საქართველოთი, როგორც უცხო, ეგზოტიკური ქვეყნით დაინტერესება გერმანულ წყაროებში შუა საუკუნიდან გვხვდება. ჩვენ, ამ შემთხვევაში საუბარი გვექნება XVI- XIX საუკუნეების იმ წყაროების შესახებ, რომლებიც შეიცავს ცნობებსა და ვიზუალურ მასალას ქართული კოსტიუმის შესახებ.

ქრონოლოგიურად პირველი წყარო ბავარიელი ჰანს შილტბერგერის (1380-14??) თხზულება „Reisen des Johannes Schiltberger aus München in Europa, Asia und Afrika von 1394 bis 1427“



(„იოჰანეს შილტბერგერის მოგზაურობები მიუნხენიდან ევროპაში, აზიასა და აფრიკაში 1394 წლიდან 1427 წლამდე“). ავტორი ჯვაროსნულ ომში მონაწილეობდა (რაინდ რაიხარტინგენის საჭურველმტვირთელი იყო), რა დროსაც ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს, შემდეგ კი თემურლენგს. თითქმის 30-წლიანი ტყვეობის განმავლობაში, ის, როგორც მსახური, ახლდა თავის მებატონეებს ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში. მოიარა ოქროს ურდო, დელი, ციმბირი, ვოლგისპირეთი, კავკასია,

კონსტანტინოპოლი, ბაღდადი, ეგვიპტე და სხვ. რის გამოც მას ზოგჯერ „გერმანელ მარკო პოლოდ“ მოიხსენიებენ. მხოლოდ 1427 წელს შეძლო მან ტყვეობისაგან თავის დაღწევა და სამშობლოში დაბრუნება. შილტბერგერი, რასაკვირველია, ტყვეობაში ყოფნისას ვერ გააკეთებდა ჩანა სურ. 1. ქართველთა ყოფითი სცენა წიგნიდან იმდევრულია. ვარაუდობენ, რომ თავგადასაცემის დროს იგი დახმარებულ იქნა შილტბერგერის მოგონებების მიხედვით. პირველად გამოქვეყნდა 1460 წელს, ქ. აუგსბურგში (ზოგიერთი ცნობის მიხედვით 1473 წელს). თხზულება ფართოდ გავრცელდა და პოპულარობა მოიპოვა XV- XVI საუკუნეებში. იგი შეიცავს ფასეულ და საინტერესო ცნობებს, უამრავ კულტურულ დაკვირვებას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ევროპული საზოგადოებრიობისათვის არაევროპული რეგიონების გაცნობისა და მათ შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნისათვის.

აღწერილობის თანახმად, ავტორს 1408 წლის შემდგომ პერიოდში თავდაპირველად საქართველოში, ხოლო შემდეგ სამეგრელოში მოუხდა ყოფნა. მის მიერ მოწოდებული ცნობა იმერული თავსაბურავის – ფაფანაკის გავრცელების არეალისა და მისი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მოხმარების შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა. ავტორის სიტყვებით: „არის ქვეყანა, აბკაზ ჰქვია. მის დედაქალაქს ცუხუმ ქვია. არაჯანსაღი მხარეა. ამ მხარეში ქალები და კაცები იხურავენ ოთხკუთხა ბრტყელ ქუდებს და ამას აკეთებენ არაჯანსაღი კლიმატის გამო“. ფაქტობრივად, ეს პირველი წერილობითი ცნობაა ფაფანაკის შესახებ. შილტბერგერი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ საქართველოში ამზადებენ აბრეშუმს [2].

ქართველების ყოფითი სცენის გამოსახულებას შეიცავს გერმანელი მეცნიერისა და კარტოგრაფის სებასტიან მიუნსტერის (1488-1552) ნაშრომში „Cosmographia“ („კოსმოგრაფია“) [3], სებასტიან მიუნსტერი იყო აღორძინების ეპოქის ფრანცისკანელი, ბერი; ჰებრალისტი და კოსმოგრაფი. ხელი შეუწყო ებრაული ენის ცოდნის გავრცელებას ქრისტიან მეცნიერებს შორის

და მისი, როგორც სპეციალური მეცნიერების შესწავლას გერმანიის უნივერსიტეტებში. ჰაიდელბერგში ასწავლიდა ებრაულ ენასა და ღვთისმეტყველებას, შემდეგ კი ბაზელში – მათემატიკას. იგი იყო პირველი გერმანელი მეცნიერი, რომელმაც გამოაქვეყნა ბიბლიის ებრაული ტექსტი ლათინური თარგმანით და სქოლიოებით და ქალდეური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. მიუნსტერმა გერმანელი სტრაბონის პოპულარობა მოიპოვა თავისი „კოსმოგრაფიით“, რომელიც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, შეადგინა. ნაშრომი წარმოადგენს თავისი დროის ისტორიულ-გეოგრაფიული და ბიოლოგიური მონაცემების უმნიშვნელოვანეს ნაკრებს, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გეოგრაფიული ცოდნის გავრცელებას და შემდგომში კოსმოგრაფიის შედგენის ნიმუშად იქცა. ნაშრომი 1544 წლიდან დაწყებული, მთელი საუკუნის განმავლობაში, მრავალჯერ იქნა დაბეჭდილი გერმანულ, ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ და ჩეხურ ენებზე. გამოცემები ახალი ცნობებით, აღმოჩენებითა და ილუსტრაციებით ივსებოდა. მასალებს საქართველოს შესახებ შეიცავს 1628 წლის გამოცემა. აღწერასთან ერთად მეფუტკრეთა და ვაჭართა ყოფითი სცენაა ასახულია (სურ. 1).

გაკვრით ეხება ქართველთა სამოსს ლეონარდ რაუვოლფი (1535 - 1596) – გერმანელი ექიმი, ბოტანიკოსი და მოგზაური, რომელსაც უწოდებდნენ „ყველაზე განათლებულ ადამიანს, დაუღალავს ბუნების შესწავლაში“. რაუვოლფმა 1573-75 წლებში მცენარეული სამკურნალო საშუალებების მოძიებისათვის იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე მოამზადა ევროპული და ახლო აღმოსავლეთის მცენარის ჰერბარიუმის ოთხი ტომი, რომელთაგან ერთ-ერთი ტომი ლეიდენის უნივერსიტეტშია და დღემდე მნიშვნელოვან აქტივად რჩება. მის მიერ აღწერილი ყავის მომზადებისა და მოხმარების აღმოსავლური ტრადიცია პირველი ინფორმაციაა ევროპელებისათვის.

ლ. რაუვოლფმა მოგზაურობის ისტორია დაწვრილებით გადმოსცა წიგნში „Aigentliche beschreibung der Raiss in die Morgenlaender“ („აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის აღწერა“) [4], რომელიც გამოქვეყნდა 1582 წ. ავტორმა ქართველებს, რომელთაც ტრაპიზონის მახლობლად შეხვდა, წიგნის ერთი მომცრო თავი მიუძღვნა. მოგზაური ქართველთა სამოსის შესახებ აღნიშნავს: „ისინი ატარებენ მოკლე ფრიალა პალტოს და გრძელ ფართე შარვალს“.

XVI საუკუნის 80-იანი წლების ამბებია გადმოცემული გერმანელი დიპლომატის სალომონ შვაიგერის (1551-16??) წიგნში „Newe Reyßbeschreibung auß Teutschland nach Constantinopel und Jerusalem“ („ახალი მოგზაურობის აღწერა გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში“) [5]. სალომონ შვაიგერი დაიბადა 1551 წ. გერმანიის სამხრეთ ნაწილში. განათლება მიიღო ტიუბინგენის უნივერსიტეტში თეოლოგიისა და კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით. სწავლის დასრულების შემდეგ იწვეულ იქნა საელჩოს კაპელანად სტამბოლში (1578 - 81), სადაც რამდენიმე წელიწადი დაჰყო – დიპლომატიური მისიის



სურ. 2. ყვარყვარე ჯაყელი: ა – შვაიგერის წიგნიდან; ბ – ზარზმის ტაძრის მოხატულობიდან



სურ. 3. თავსაბურავები: ა – თავაქარაშვილის მინიატურიდან; ბ – კასტელის ჩანახატებიდან

განსახორციელებლად. 1581 წლიდან იმოგზაურა ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში, საიდანაც, კრეტასა და ვენეციის გავლით დაბრუნდა სამშობლოში. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მსახურობდა პასტორად სოფელ გროცინგერსა და ბოლოს ნიურნბერგში.

ს. შვაიგერმა თავისი მოგზაურობის ვრცელი აღწერილობა მოგვიანებით, 1608 წელს გამოსცა ნიურნბერგში. ავტორი წიგნში იძლევა მოკლე ცნობებს საქართველოს შესახებაც. კერძოდ, ბეჭდავს ქართულ ანბანს და ლათინური ტრანსკრიფციით ქართულ ენაზე აქვეყნებს პირველი ფსალმუნის დასაწყისს. აღსანიშნავია, რომ შვაიგერის მიერ დაბეჭდილი ნუსხა-ხუცური ანბანი ქართული შრიფტის სტამბური გამოყენების პირველი ნიმუშია.

ავტორი თხოულებაში გადმოგვცემს ოსმალეთის სულთნის, მურად III-ის კარზე ორი ქართველი დიდებულის – ყვარყვარე ჯაყელისა და მისი ძმის სტუმრობის ამბავს. ეს ჟესტი ქართველი თავადების მხრიდან მორჩილებისა და მოხარკეობის აღიარებას ნიშნავდა. ამასთან,



სურ. 4. ქართველი ქალი. ე. კემპფერის ალბომიდან

უმცროსმა ძმამ კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ისლამი მიიღო და თავისი ათი წლის ვაჟსაც სარწმუნოება შეუცვალა, ხოლო ყვარყვარე და მისი თანმხლები პირები არ განუდგნენ ქრისტიანობას და ბოლომდე მისი ერთგულნი დარჩნენ. ამის შემდეგ ოსმალეთის სამეფო კარმა ხარკის გადახდის სანაცვლოდ ქართველი დიდებულებისთვის წინანდელი ძალაუფლების აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან ერთად, ოსმალთა მეთაურს უბრძანეს დანგრეული ციხე-სიმაგრის აღდგენა და იქ მყოფი გარნიზონის ხელმძღვანელობა. საბოლოოდ, ვითარება ისე შეიცვალა, რომ ქართველები ვერ შეეგუენ თურქთა ბატონობას და ბოლომდე ამოხოცეს იქ გამაგრებული ჯარი.

სალომონ შვაიგერი, მართალია, არ ახასიათებს ქართველთა ჩაცმულობას, მაგრამ წიგნში ჩართულია გრავიურა ყვარყვარე ჯაყელის პორტრეტული გამოსახულებით (სურ. 2, ა). ნახატი ფანტაზიით შესრულებული არ უნდა იყოს, რადგან ყვარყვარეს კაბის დეკორი, იმ პერიოდის საქართველოს, კერძოდ, სამცხეს ძეგლების ფრესკულ მხატვრობაში, სწორედ ჯაყელთა სამოსზე შეინიშნება (სურ. 2, ბ). ხოლო ანალოგიური ფორმის თავსაბურავები გვხვდება თავაქარაშვილის მინიატურებში და იტალიელი მისიონერის ქრისტოფორო დე კასტელის ნახატებში (სურ. 3, ა, ბ).

ქართველი ქალის აკვარელით შესრულებული სურათი შეტანილია ენგელბერტ კემპფერის ალბომში „Album of Persian Costumes and Animals with Some Drawings by Kaempfer“ („სპარსული კოსტიუმებისა და ცხოველების ალბომი კემპფერის ნახატებით“), რომელიც დაცულია დიდი ბრიტანეთის მუზეუმში. თავისი დროის დიდად განათლებული პიროვნება ენგელბერტ კემპფერი (1651 - 1716) იყო გერმანელი ნატურალისტი, ექიმი, მკვლევარი და მწერალი. მან შეისწავლა ფილოსოფია, თეოლოგია და მედიცინა. 1683 წლიდან მუშაობდა შვედეთის საელჩოს შემადგენლობაში, საიდანაც დიპლომატიური მისიით წარგზავნილ იქნა სპარსეთში. სპარსეთისაკენ მან მოსკოვისა და ვოლგისპირეთის გავლით იმოგზაურა. სპარსეთში ყოფნის დროს კემპფერმა, როგორც ნატურალისტმა და მკვლევარმა მოიარა აღმოსავლეთის მრავალი ქვეყანა: არაბეთი, ინდუსტანი, იავა, სუმატრა, სიამი და იაპონია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის, როგორც მკურნალი, იმყოფებოდა თბილისში. კემპფერის რამდენიმეწლიანი მოგზაურობა და მისი დაკვირვებები ძალზე ნაყოფიერი გამოდგა. მან დაწვრილებით აღწერა სხვადასხვა ქვეყნები. მათგან აღსანიშნავია მოსკოვსა და ვოლგისპირა ქალაქებში მოგზაურობის აღწერა; ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი იაპონიის შესახებ დაწერილი ნაშრომია, სადაც მან ორი წელი გაატარა. ე. კემპფერის მდიდარი ხელნაწერების უმეტესი ნაწილი, ისევე, როგორც ზემოდასახელებული ალბომი, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულია ნაშრომი „ყაზანის, ასტრახანის, საქართველოს და სხვა მრავალი სახელმწიფოები, რომლებმაც ხარკი გადაიხადეს და ემორჩილებოდნენ ცარს, სულთანს და შაჰს...“ (ნიურნბერგი, 1723 წ.).



სურ. 5. ქართველები შილინგერის წიგნიდან

ე. კემპფერის ალბომში შეტანილია ისპაჰანში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლთა გამოსახულებები, ასევე სცენები ყოველდღიური ცხოვრებიდან და ცხოველები, სულ 44 მინიატურა. ისინი შესრულებულია სპარსული მინიატურული სტილისათვის დამახასიათებელი მანერით. სურათები სავარაუდოდ, კემპფერის დაკვეთით უნდა იყოს შექმნილი. მათი ავტორი ირანელი მხატვარი ჯანი ბაჰრამის ძეა, რომელიც საკუთარ თავს „ფარანგი საზ“-ს უწოდებს. „ფარანგი“, ანუ ფრანგი, მიუთითებს მხატვრობაში მის ევროპულ ორიენტაციაზე [6]. ქალი კემპფერის ალბომიდან გარეგნულად ქართველის ტიპისაა, მაგრამ მისი სამოსი სპარსულია (სურ. 4), თუმცა კაბის სილუეტს, შიგა სამოსს, შეიდიშის, ფეხსამოსისა და თავსაბურავის ფორმებს მოეძებნება ანალოგები ქართულ მონუმენტურ

მხატვრობაში, კერძოდ მცხეთის სვეტიცხოვლის, მარტვილის ტაძრის, გელათის ნართექსის, ზარათის და სხვ. ფრესკულ ფერწერაში.

XVIII-XVIII საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება გერმანელი ექიმისა და მოგზაურის ფრანც-კასპერ შილინგერის 1707 წელს გამოცემულ წიგში „Persianische und Ost-Indianische Reis“ („სპარსეთსა და აღმოსავლეთ ინდოეთში მოგზაურობა“) [8] ჩართული გრაფიურა ქართველების გამოსახულებით (სურ. 5). შილინგერმა 1699-1702 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაში ნამყოფი არ არის, ქართველები სპარსეთში გაიცნო. მოგზაურობის აღწერაში ავტორი ხშირად ახსენებს საქართველოსა და აღწერს ჩვენს თანამემამულეებს. მისი გადმოცემით:

„ადგილობრივი მცხოვრებნი [ქართველები] თეთრები არიან, როგორც ჩვენ ევროპელები: ისინი მშვენიერი აღნაგობისა და გარეგნობის არიან, განსაკუთრებით ქალები. მამაკაცებს თავზე შემოხვეული აქვთ ტილოს ან აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც ბასტიონივით დგას, შუბლს ზემოთ. ქალებს ჩამოშლილ თმებზე ახურავთ ორმაგი გემის ფორმის ქუდი, შუაგულში წვეტიანი ამონაშვერით. ქვედა კაბა ჩამოშვებულია თითქმის კოჭებამდე, თეთრი ფერისაა და ნაკეცებადაა დაშვებული (ისევე როგორც გერმანიაში იციან ტრადიციული ქვედა კაბები), წელზე შემოჭერილი აქვთ შარფისებური სარტყელი. ზედა სამოსს აქვს სპეციალური ვიწრო სახელოები... წინ გახსნილია, აქვს ბეწვის სარჩული, კისრიდან მკერდისაკენ წამახვილებულია და მკერდიდან წელამდე დახშულია. წელზე სარტყელი ისეთივე ქსოვილისაა, როგორც შეხსნილში გამოჩენილი სახელო. ქალმაცა და ქალწულმაც გარეთ გამოსვლისა სახე თვალებამდე უნდა დაიფაროს“.

აღსანიშნავია, რომ ქალის სამოსის კომპლექტაცია შილინგერის წიგნის ილუსტრაციიდან ანალოგიურია ე. კემპფერის ალბომში გამოსახული ქალის ჩაცმულობისა.

ქართული ტრადიციული სამოსის შესახებ ცნობებს შეიცავს გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის აკად. იოჰან გიულდენშტედტის ჩანაწერები. მას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დავალებული ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა. გიულდენშტედტმა ჩვენს ქვეყანაში დაჰყო 1771-72 წლები. ნაშრომების გამოქვეყნება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1787 წ. მოხერხდა, თავდაპირველად პეტრე სიმონ პალასის, ხოლო მოგვიანებით იულიუს კლაპროტის რედაქციით. ქართულ ენაზე „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ გამოიცა ორ ტომად [9]. აფხაზეთის, სამეგრელოს, ლეჩხუმის, რაჭის, სვანეთის, ქართლისა და კახეთის დახასიათებისას გიულდენშტედტი აღწერს მოსახლეობის (ძირითადად მამაკაცების) სამოსს, მოჰყავს ცნობები ტანსაცმლისა და სხვადასხვა ქსოვილების დამზადების და ყიდვა-გაყიდვის შესახებ. მისი ცნობები მამაკაცის ტანსაცმლის შესახებ საკმაოდ განზოგადებულია:

„*აცვით თეძოებთან ნაოჭებიანი მოკლე ჩოხები, რომლებიც მუხლებამდეც კი არ სწვდებათ, წვივებზე შემოხვეული აქვთ სახვევი, წელზე არტყიათ ბრტყელი ქამარი და ა. შ. ისინი ხშირად ამზადებენ ტლანქი მაუდის ჩოხებს და მიაქვთ გასაყიდად*“.

პ. ს. პალასის რედაქტორობით გამოცემული ნაშრომი ილუსტრირებულია [10]. სურათებზე გამოსახულია ქართლელი მამაკაცი, იმერელი ყანწით და ქართველი ქალი, რომელიც სამოსის თვალსაჩინოდ ჩვენების მიზნით წარმოდგენილია ორ ხედში წინიდან და ზურგიდან (სურ. 6)


საქართველოსა და ქართველების შესახებ ინფორმაციულია გერმანელი მეცნიერი ორიენტალისტის – იულიუს ჰენრიხ ფონ კლაპროტის (1783-1835) ნაშრომები, რომლებიც მან სხვადასხვა მიმართულებით საქართველოს კვლევის შედეგად გამოაქვეყნა. იულიუს კლაპროტი 1804 წელს მიიწვია რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ, როგორც აღმოსავლეთმცოდნე ლინგვისტი და მიავლინა კავკასიაში, ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევების ჩასატარებლად. ნაშრომში „Beschreibung der Russischen Provinzen zwischen dem Kaspischen und Schwarzen Meere“ („კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე რუსული პროვინციების აღწერა“) [11]. საქართველოს სხვადასხვა მხარეების მიმოხილვასთან ერთად მოყვანილია ჩაცმულობის მოკლე დახასიათებაც:




სურ. 6. ქართველები გიულდენშტედტის წიგნიდან

„თავადებისა და აზნაურთა მხრივ ჩავგრისაგან ხალხი ისეთი ღარიბია, რომ ჩვეულებრივ ჩასაცმელად აქვს მხოლოდ ერთი მოსახვევი, რომელიც ქამრიდან კოჭამდე აღწევს. წარჩინებულებს კი აცვიათ უცხოური ქსოვილების სამოსი. ტყავის ქამარზე, რომელიც მდიდრულადაა მოვერცხლილი, ხმლისა და ხანჯლის გარდა დაკიდული აქვთ სამოგზაუროდ საჭირო სხვადასხვა ნივთები, როგორცაა სალესი, კვესი და ა. შ. მათ პერანგებს ხშირად ქვემოთ არშიები აქვთ, ყელზე კი ოქროთი ნაქარგი. ზამთარში სამეგრელოში ატარებენ ვიწრო ტყავის სამოსს, ხოლო მოგზაურობისას ყოველთვის ქეჩის მოსასხამს [ნაბადი], რაც მთელ კავკასიაში გავრცელებული“.

გასაოცარი ეფექტურობით და ინფორმაციულობით გამოირჩევა ცნობილი გერმანელი მხატვრის პაულ ფონ ფრანკენის (1818-1884) ტილოები და ესკიზები კავკასიის შესახებ შექმნილი სერიიდან. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში პაულ ფონ ფრანკენი მოიხსენიება „კავკასიის მხატვრად“. მას ასახული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხე, თბილისის ხედები, კავკასიელთა ტიპები. ჩვენი თემატიკისათვის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პანორამული ტილოები: „ბანიანი სახლი თბილისის ფონზე“ (1856), „ძველი თბილისის ხედი“ (1859), „ბანაკი თბილისის მახლობლად“ და სხვა მრავალი.





სურ. 7. ფრაგმენტები პაულ ფონ ფრანკენის ტილოდან „ძველი თბილისის ხედი“ [13]



სურ. 8. გრავიურა პაულ ფონ ფრანკენის ნახატიდან „ქართველი თავადის გამგზავრება ომში“

მათში მჟღერი ფერებითა და ვირტუოზული ოსტატობით არის ნაჩვენები ქართული კოსტიუმის დახვეწილობა და სილამაზე. ვის არ ნახავთ აქ – სარტყელ გულისპირიან კაბებში გამოწყობილ ქალებს – ბანზე მოცეკვავეს თუ დაირაზე დამკვრელს, მამაკაცებს ჩოხა-ახალუხითა და ბუხრის ქუდებით (სურ. 7). ფერადოვან სამოსის მრავალსახეობაში ადვილი გასარჩევია თითოეულის მასალა და დეკორი. მზეზე ლაპლაპებს ატლასი, მქრქალ ნათებას გამოსცემს ხავერდი, ფრიალებს ჰაეროვანი ლეჩაქი. ზოგი მანდილოსანი მთლიანად დაფარულია უზარმაზარი თეთრი საბურველით... ისე მეტყველია მხატვრის ფუნჯი, რომ დაირის ხმა და მოცეკვავე ქალის ტაფტის კაბის შრიალიც კი ჩაგვესმის თითქოს.

საინტერესოა ყოფითი ჟანრის გრავიურა „ქართველი თავადის გამგზავრება ომში“ [14], რომელიც პაულ ფონ ფრანკენის ნახატის მიხედვით არის შექმნილი (სურ. 8). სურათზე კარგად ჩანს ქალისა და მამაკაცის ტრადიციული ქართული ჩაცმულობა და თავსაბურავები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა გერმანელი ავტორების – იაკობ რეინეგის, ფრიდრიხ ავგუსტ ბიბერშტეინის, იოჰან ფონ ბლარამბერგის, გუსტავ-თეოდორ პაულის, ფრიდრიხ ბოდენშტედტის, გუსტავ რადეს შრომები. სამწუხაროდ ყველას განხილვა შეუძლებელია ერთი სტატიის ფარგლებში [15].

როგორც ვხედავთ, ინფორმაციის გერმანულენოვანი ნაკადი საქართველოსა და ქართველ ხალხზე გარკვეულ წარმოდგენებს, მათ შორის ვიზუალურსაც, უქმნიდა ევროპულ საზოგადოებრიობას. აღნიშნულ ინფორმაციას თანამედროვე ეტაპზეც არ დაუკარგავს აქტუალობა, რადგანაც მნიშვნელოვან მასალას იძლევა ქართული ისტორიული კოსტიუმის შესწავლისათვის – ქართულ წყაროებში მსგავსი მასალების სიმცირის პირობებში. ამ მხრივ

განსაკუთრებით საინტერესო თვითმხილველი დამკვირვებლის მიერ შექმნილი სახვითი მასალაა, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს კოსტიუმის ფორმას, სილუეტს და ზოგიერთ შემთხვევაში დეკორირებასა და ფაქტურასაც. დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო და აუცილებელია უცხოური წყაროების შემდგომი კვლევა, ქართული კოსტიუმის ევოლუციის სრულყოფილი პანორამის წარმოჩენისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Reisen des Johannes Schiltberger aus München in Europa, Asia und Afrika von 1394 bis 1427. Auf Kosten des Herausgebers, 1859.
2. მამისთვალისმზილი ე. საქართველო ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნში“. მაცნე 1980, N2, თბილისი: მეცნიერება 1980
3. Cosmographia. Beschreibung aller Lender durch SebastianumMünsterum: in welcher begriffen aller Voelker, Herrschaften, Stetten, und namhafftiger Flecken, herkommen: Sitten,Gebreüch, Ordnung, Glauben, Secten und Hantierung durch die gantze Welt und fürnemlich Teütscher Nation (Getrucktzu Basel: durch Henrichum Petri 1544).
4. Leonhard Rauwolf, Aigentliche beschreibung der Raiss in die Morgenlaender
5. Schweigger, Salomon. „Newe Reyßbeschreibung auß Teutschland nach Constantinopel und Jerusalem“ Nuremberg / Gratz, Johann Lantzenberger / Akademische Druck 1608
6. https://www.flickr.com/.../csem_arch.../albums/72157713158285013
7. https://www.britishmuseum.org/collection/object/W_1974-0617-0-1-18
8. Schillinger, Franz Caspar Persianische und Ost-Indianische Reis, welche F. C. Schillinger ... mit P. W. Weber, und P. W. Mayr ... durch das Türkische Gebiet im Jahr 1699. angefangen, und 1702. vollendet ... Neben Beschreibung vieler Orientalischen Völckern ... Von obengemeldtem Authore aufgezeichnet; durch einem guten ...Johann Christoph Lochner, 1707
9. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში ტ.1/ გერმ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა; საქ. სსრ მეცნ. აკად., 1962.
10. Johann Anton Güldenstädt Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, Tom 1. Bearbeitet von P. S.Pallas 1787.
11. Heinrich Julius von Klaproth Beschreibung der russischen Provinzen zwischen dem kaspischen und schwarzen Meere, Maurer, 1814.
12. გელაშვილი გ. იულიუს კლაპროტის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, N1-2, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018. გვ. 283-298.
13. Arts and Culture <https://artsandculture.google.com/asset/view-of-tiflis-paul-von-franken/>
14. Daheim: ein deutsches Familienblatt mit Illustrationen, Tom 4; Daheim-Expedition (Velhagen & Klasing), 1868.
15. უგრეხელიძე ი., ქარციძე ნ., ჩუბინიძე ე. ქართული კოსტიუმი უცხოურ წერილობით და სახვით წყაროებში. ქუთაისი: აწსუ 2021.